ერევანი. “რაზდანის” სტადიონი. 14 სექტემბერი.

“არარატი” (ერევანი) - “დინამო” (თბილისი) - 0:1 (0:1).

“არარატი”: ა. აბრამიანი, ოვსეპიანი, ფ. აბრამიანი (მარტიროსიანი), კოვალენკო, მესროფიანი, ანდრიასიანი, ბონდარენკო (არუთინიანი), იშტოიანი, მარქაროვი, ზანაზანიანი, კაზარიანი.

“დინამო”: სტეფანია, ძოძუაშვილი, ჭელიძე, ხურცილავა, ხინჩაგაშვილი, პეტრიაშვილი, მჭედლიშვილი, მაჩაიძე, ყიფიანი, გუცაევი (გავაშელი), ფ. რეხვიაშვილი.

მსაჯი: ვ. სამოლაზოვი (დონის როსტოვი).

დუბლიორები - 4:0 “არარატის” სასარგებლოდ.

ერევნელთა 75000-ადგილიანმა სტადიონმა თითქმის 100.000 მაყურებელი დაიტია! ეს მოწმობს, რა უზომო ინტერესი გამოიწვია ამ მატჩმა ფეხბურთის ქომაგებში. არცაა გასაკვირი, წლეულს “არარატი” განსაკუთრებით კარგად თამაშობს და ჩემპიონატის მთელ მანძილზე გათამაშების ლიდერთა სამეულშია. ამ მატჩამდე წლევანდელ სეზონში ეს გუნდები 3-ჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. “დინამომ” ერთი მატჩი ფრედ დაამთავრა (0:0), ერთი მოიგო (2:1) და ერთიც წააგო (0:4). აღსანიშნავია, რომ პირველი ორი შეხვედრა გაიმართა საკავშირო თასის გათამაშების პროგრამით, ხოლო მესამე - სსრ კავშირის ჩემპიონატის განრიგით.

ამჯერად თბილისელებმა გაიმარჯვეს და წლევანდელ სეზონში მოგებული მატჩებით სასწორი მათს მხარეზე გადაიხარა. აღსანიშნავია, რომ “რაზდანის” ამ ახალ და დიდებულ სტადიონზე ერევნელებს ჯერ მარცხის სიმწარე არ უწვნევიათ.

მივყვეთ თამაშის მსვლელობას. მატჩის დასაწყისიდანვე სტუმრებმა შეტევითი ტაქტიკა აირჩიეს და მისთვის ტაიმის ბოლომდე არ უღალატიათ. მართალია, შეუნელებელმა იერიშებმა მათ მხოლოდ წარმატება ერთხელ მოუტანა, მაგრამ ეს გახლდათ ნიშანი, რომ დინამოელები სერიოზულად იყვნენ განწყობილი უშეღავათო ბრძოლისთვის და სრულიადაც არ აპირებდნენ დანებებას. ერევნელებს ბევრი საზრუნავი ჰქონდათ დაცვაში და ამიტომ მათი ამოცანა გახლდათ ძირითადად კონტრშეტევითი ოპერაციებისთვის მიემართათ. მატჩის ის ერთადერთი გოლი კი ერევნელთა კარში გავიდა თამაშის მე-7 წუთზე, როცა მინდვრის შუა ნაწილიდან სწრაფი რეიდი წამოიწყო მაჩაიძემ. მან მაღალი სისწრაფით გადალახა ყველა ზღუდე და ერევნელთა საჯარიმო მოედნის მარჯვენა მხრიდან ძლიერი დარტყმით გოლი გაიტანა.

ვიმეორებთ, თბილისელები I ტაიმში დიდხანს და ერთობ სახიფათოდ უტევდნენ “არარატის” კარს. მათგან ერთ-ერთი შეტევა ნაღდი გოლით უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ ჯერ მჭედლიშვილის ძლიერი დარტყმის შემდეგ იხსნა ერევნელთა კარი ძელმა, ხოლო შემდეგ, როცა გუცაევმა მიუსწრო საჯარიმო მოედანზე დაბრუნებულ ბურთს, კვლავ ძელმა გადარაზა ბადისკენ მიმავალი გზა. ეს საგოლე მომენტი მნახველებს ალბათ დიდხანს ეყოფათ სალაპარაკოდ და აღტაცების საგნად. აღსანიშნავია, რომ მანამდე თბილისელთა კარიც ძელმა იხსნა: ბურთი “დინამოს” კარისკენ მარქაროვმა გაგზავნა. კიდევ იყო მომენტი, როცა იგივე მარქაროვი სახიფათოდ გადიოდა მეკარე სტეფანიას პირისპირ და კარის აღებას არაფერი უკლდა, მაგრამ მეკარემ იმარჯვა და საშიშროება უვნებელყო.

შესვენების შემდეგ შეტევის სადავეები მასპინძლებმა მთლიანად იგდეს ხელთ. თბილისელებმა დათმეს მინდვრის შუა ნაწილი, ხშირად უხდებოდათ საკუთარი კარის

მისადგომების უშიშროებისთვის ზრუნვა და მათმა იერიშებმა ეპიზოდური ხასიათი მიიღო. ერევნელთა შტურმი სულ უფრო ძლიერდებოდა, მაგრამ მეკარე სტეფანია კარგად თამაშობდა. დინამოელთა ეს ახალგაზრდა მეკარე მატჩის ნამდვილი გმირი იყო. არანაკლები ჯაფა დაადგათ დინამოელთა მცველებს.

ჩვენ ვთქვით, რომ შესვენების შემდეგ თბილისელები ეპიზოდურად უტევდნენ ერევნელთა კარს. ეს კონტრიერიშები ყოველთვის სახიფათო და აზრიანი იყო, თუმცა ანგარიშის გაზრდა მაინც ვერ მოხერხდა.

მატჩის სანახაობრივ მხარეს ჩრდილო მიაყენა მსაჯის ვ. სამოლაზოვის მიუტევებელმა მეცდომებმა. სწორედ მისი მიზეზით, საინტერესო შეხვედრამ ზედმეტად დაძაბული ხასიათი მიიღო და მოთამაშეებშიც ნერვიული ატმოსფერო შექმნა. საკმარისია ითქვას, რომ თბილისელთაგან 4 მოთამაშეს (ძოძუაშვილს, ყიფიანს, პეტრიაშვილს და რეხვიაშვილს) დასჭირდათ საექიმო დახმარება. ამგვარად, სულ ცოტა, 8 წუთის განმავლობაში "დინამო" მინდორზე ათკაციანი შემადგენლობით თამაშობდა, ბოლოს, აკრძალული ილეთით გაუმასპინძლდნენ სტეფანიასაც. მხოლოდ ამ შემთხვევაში გამოიჩინა მსაჯმა სიმკაცრე და ანდრიასიანი გააფრთხილა.

საფინალო სასტვენის მერე ნერვიულობა დაცხრა. თბილისელმა და ერევნელმა ფეხბურთელებმა მეგობრულად დატოვეს მინდორი.

(ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.).

"ლელო", 16 სექტემბერი, 1971 წ.